საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თუმანიშვილი გიორგი მიხეილის ძე

გ. თუმანიშვილი

თუმანიშვილი გიორგი მიხეილის ძე [27. I (8. II). 1854, თბილისი, – 26. I. 1920, იქვე], საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. მ. ბ. თუმანიშვილის შვილი. 1871 დაამთავრა თბილ. გიმნაზია, 1875 – ოდესის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი სამართლის კანდიდატის წოდებით. ერთხანს მსახურობდა ფოთის სასამართლო უწყებაში, შემდეგ – მეფისნაცვლის კანცელარიაში საგლეხო განყ-ბის უფროსად. 1891 გადადგა სამსახურიდან. იმავე წელს ნ. ნიკოლაძისაგან შეიძინა გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", რ-საც ვ. თუმანიშვილთან და კ. თუმანიშვილთან ერთად გამოსცემდა 1903-მდე. თ-ის სტატიები და წერილები იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში; თანამშრომლობდა „დროებასა" და „ივერიასთან". 1878–79 გამოუშვა ქართ. „ალმანახი", შექმნა ქართ. საგამომცემლო ამხანაგობა, რ-მაც პირველმა გამოსცა წიგნად ნ. ბარათაშვილისა და სხვა ქართვ. პოეტების თხზულებანი. თ-ს სხვადასხვა საკითხზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი და „დახასიათებანი და მოგონებანი" იმდროინდელ *ლიტ.* და *პოლიტ.* მოღვაწეებზე. მონაწილეობდა კავკასიაში საერობო დაწესებულებათა დაარსებაში, იყო კავკასიისმცოდნეობის კურსების ორგანიზატორი. თ. აქტიურად მონაწილეობდა ქართ. თეატრის საქმიანობაში. იყო ქართ. დრამ. ამხანაგობის ერთ-ერთი დამაარსებელი.

თხზ.: Характеристики и воспоминания, I–III, Тфл., 1900–07.

ლიტ.: გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი ზ., გიორგი თუმანიშვილი (ლიტერატურის კრიტიკოსი), თბ., 1992; კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, IV, თბ., 1986; საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ (თუმანიშვილების წერილები), ე. აბრამიშვილის *გამოც.*, თბ., 1965; ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს., ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1969.